№ 131

წელიწადი მეორე

თავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ერთი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ტფილისი, 18 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დიდგვინდი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—32.

სავალდებულო დადგენილება

ქალ. ტფილისში ქონებულ ქალალდის ნამდვილ რაოდენობის გამოსარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ქალალდის რაოდენობის აღრიცხვა.

ამისათვის, უველა ქალალდით მოვაჭრენი, რაგორც სპეციალური საწყობებისა და მაღაზიების პატრონები, აგრეთვე კერძო პირნი, რომელთაც ერთ ფუთზე მეტი ქალალდი მოეპოვებათ, ვალდებულნი არიან, ამა რიცხვიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოაწოდონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო განუოფილებას სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ადგილს და რამდენი ქალალდი მოეპოვებათ, მიუხედავად მისი რაოდენობისა (ერთ ფუთზე მეტი) და თვისებისა.

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა სახელმძღვანელო წესდების 29 მუხლისა დროებითი მთავრობის რედაქციით.

მინისტრი **რამიშვილი.**

კანცელარიის დირექტორი **აფაქიძე.**

შენიშვნა: ეს სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 17 ივნისს და ვადა უთავდება 24 ივნისს.

რედაქცია

მიწათ-მოქმედების სამინისტრო

აგრარულ რეფორმათა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ივნისის პირველიდან მიწის მომლები და განმაწყობელი კომისიები მუშაობას შეუდგენ ყველა მაზრებში.

აპრილის 15, ინსტრუქციის მესამე მუხლის თანახმად: „კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შედის საარაიონო კომისიაში ერთი კვირის ვადაში დღიდან აქტის დადგენისა. საარაიონო კომისია დაუყონებლივ იხილავს საჩივარს და თავისი დასკვნით გადაუგზავნის საოკრუგო კომისიას. ოკრუგის გამგეობას საბოლოო დადგენილების გამოსატანად. ოკრუგის გამგეობა ერთი კვირის ვადაში, დღიდან საჩივრის მიღებისა, ატყობინებს თავის დასკვნას საარაიონო კომისიას". ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აგრარულ რეფორმათა განყოფილება წინადადებას აძლევს დაინტერესებულ პირებს პირადად, ან რწმუნებულების საბით ადგილობრივ დროს საჭირო კომისიებს მუშაობის დროს და ყოველი საჭირო ახსნა-განმარტებანი წარუდგინონ მას.

აგრარულ რეფორმათა განყოფილება.

1081 3—1

ოფიციალური განკოფილება.

კანონი

საბალხო სკოლის მასწავლებელთათვის ხუთწლეულ დამატებათა დაწესებისა.

1. საბალხო სკოლის მასწავლებელთათვის დაწესდეს სამი ხუთწლეული დამატება, თვითეული ოთხასი (400) მან., პირველი ხუთწლეულის გარდა, რომელიც ემატება საბალხო სკოლის მასწავლებლის ძირითად ჯამაგირს სამსახურის დაწყების დღიდანვე.

2. კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ ზომის განსახორციელებლად ხარჯთ-აღრიცხვის წესით გაღებულ იქნეს რესპუბლიკის ხაზინიდან ყოველწლიურად შესაფერი თანხა.

3. კანონი ესე შედის ძალაში 1919 წლის იანვრის პირველიდან.

1919 წ. ივნისის 6.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. **ალ. ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის და სოხუმ-ახალ-სენაკის გზატკეცილების შესაკეთებლად 800,000 მ. გადადებისა.

1. გაეხსნას გზათა უწყებას სახელმწიფოს ხაზინიდან სოხუმ-ახალსენაკის გზატკეცილის გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად საერთო ჯამიდან (1,442,204 მან. 31 კაპ.) ხუთასი ათასი (500,000) მანეთის კრედიტი, ხოლო კრედიტის დანარჩენი ნაწილი ცხრაას ორმოცდა ორი ათას ორას ოთხი მანეთი და 31 კაპ. (942,204 მან. და 31 კაპ.) გატარებულ იქნეს ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

2. გაეხსნას გზათა უწყებას სახელმწიფოს ხაზინიდან ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის გზატკეცილის გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად საერთო ჯამიდან (2,655,250 მ.) სამასი ათასი (300,000) მანეთის კრედიტი, ხოლო კრედიტის დანარჩენი ნაწილი ორი ათასი ორას ორმოცდა ხუთმეტი ათას ორას ორმოცდა ათი მან. (2,355,250 მ.) გატარებულ იქნეს ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 6.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. **ალ. ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

ნუსხა

დესეტინაზედ დაწესებულ სახელმწიფო ერთდროულ გადასახადისა

დამატება კანონის მე-2-ე მუხლისა.

სახელწოდება მახრისა (ოლქ) და ადგილის მდებარეობისა.	ერთ დესეტინაზე დაწესებულ გადასახადის რაოდენობა მანეთობით						
	სამოსახლო ადგილი.	ხარწყავი სათესი მიწა.	უწყავი სათესი მიწა.	სავენახე და შერეული სახილე სავენახე ბაღები	ხეხილის ბაღები.	ხარწყავი სათიბი ადგილები.	უწყავი სათიბი ადგილები.
1 ტფილისის მაზ.							
დაბლობი ადგილი	1 ს. 25	120	80	—	—	—	—
საშუალო „	2 ს. 15	90	60	90	90	20	15
მთიანი „	—	—	50	—	—	—	—
2 ბორჩალოს მაზ.							
დაბლობი ადგილი	—	150	75	135	135	—	—
საშუალო „	—	120	75	65	65	20	15
მთიანი „	—	120	35	—	—	—	—
მაღალ მთიანი „	—	—	35	—	—	—	—
3 გორის მაზრა							
დაბლობი ადგილი	1 ს. 70	120	90	1 ს. 115	175	—	15
მთის კალთა	2 ს. 20	60	45	2 ს. 90	85	—	10
მთიანი ადგილი	10	—	25	3 ს. 70	45	—	10
4 დუშეთის მაზ.							
დაბლობი ადგილი	—	90	60	—	—	—	—
მთის კალთა	—	—	60	70	—	—	15
მთიანი ადგილი	—	—	45	—	—	—	—
მაღლობი „	—	—	25	—	—	—	—
5 სიღნაღის მაზ.							
ალაზანის მიდამო	—	150	45	1 ს. 135	85	—	—
ირიის „	—	150	90	2 ს. 115	—	—	15
				3 ს. 70			
6 თელავის მაზ	—	135	66	1 ს. 135	85	—	—
7 თიანეთის მაზ.							
დაბლობი ადგილი	—	70	60	115	—	—	15
საშუალო „	—	—	45	—	—	—	—
მთიანი „	—	—	25	—	—	—	—
8 ზაქათალის მ.							
დაბლობი ადგილი	—	150	75	—	—	—	—
ველი	—	—	45	70	90	—	10
მთიანი „	—	—	45	—	—	—	—

შენიშვნა: სამოსახლო ადგილი შემოსავლის მხრივ გათანასწორებულია მაღალი ხარისხის ურწყავ სათეს ადგილებთან, საბოსტნე—დაბალი ხარისხის სავენახე ბაღებთან, სათუთუნე კი—მაღალ ხარისხის სარწყავ სათეს ადგილებთან.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

1919 წ. მაისის 27.

ოფიციალური განკოფილება.

მთავრობაში

10 ივნისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია.

მინისტრები ბ.ბ. რამიშვილი, კანდელაკი, გეგეჭკორი, ხომერიკი. სახელმწიფო კანტროლიორი ბ. გოგიბაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები ბ.ბ. ჭელიშვილი, ჯაჭინაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ერაძე, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჯაჭინაძე, ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭანტურია-შვილი, საქმეთა მმართველი კ. კაფარიძე, მდივნობს დ. დიდებულიძე.

სადგურების გახსნა.

ის სადგურები, რომელნიც დახურულ იქნენ ამა წლის 25 მარტის დადგენილებით გაიხსნას სიმინდის ტვირთვისა გადასაზიდად ყველა ერობათადა თვითმართველობათათვის.

მოხსენება ექიმთა პროფეს. კავშ. პრეზიდიუმისა.

1) ჯამაგირები და საგზაო ფულის ნორმა დარჩეს ისეთივე, როგორიც მიღებულია შინაგან სმქმეთა სამინისტროს მიერ—მხოლოდ მიეცეთ ექიმებს უფლება თავისუფალი პრაქტიკისა.

2) დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსპოს მობილიზაცია, როდესაც ეპიდემია შენელდება,

3) მობილიზაციის გაუქმების შემდეგ ექიმების საექიმო პუნქტებზე დატოვება ან მათი გაწვევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ექიმების შეთანხმებით თვით მართველობათა და ერობებთან.

ამა წლის 18 იანვრის დადგენილესით დაარსებული (გადამდები სენთა ეპიდემია თან საბრძოლველად) განსაკუთრებული რწმუნებულის თანამდებობა, გაუქმებულ იქმნას და ყოველივე საქმეები მის გამგებლობაში არსებული ჩაბარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილებას.

თანამდებობიდან განთავისუფლება.

ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრები სილიბისტრო ჯიბლაძე და ილია ბადრიძე განთავისუფლებულ იქნან თანამდებობიდან ამა წლის მაისის პირველიდან თანახმათ მათი განცხადებისა.

თხოვნის შეწყნარება.

არჩილ და ვლადიმერ გეწაძეების თხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ 1918 წლის 12 თებერვლის განაჩენით მისჯილი სასჯელის პატიების შესახებ შეწყნარებულ იქნას.

უარი თხოვნაზე.

სპირდონ რატიანის თხოვნა რაჭის სარევოლიუციო ტრიბუნალის მიერ 1918 წ. აგვისტოს 12-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

—

გაბრიელ როსტომაშვილის შესახებ სისრულეში იქნას მოყვანილი სასამართლოს განაჩენი.

=

ესტატე ქ რაიძის თხოვნა სამტრედიის სარევოლიუციო ტრიბუნალის მიერ 1918 წ, 3 აგვისტოს გადაწყვეტილი სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

—

სტეფანე თონიკოვისათვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ თხოვნა ჭარყოფილია.

—

დავით კინწურაშვილის თხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

—

გრიგოლ კიკნაძის თხოვნა ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. ნოემბრის 1-ის განაჩენით მისჯილი სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

დეკრეტით დ. ონის ქალაქათ გამოცხადების შესახებ.

პროექტი დეკრეტისა დაბა ონის ქალაქათ გამოცხადებისა მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ანარქიასთან საბრძოლველათ.

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 500,000 მანეთი ანარქიასთან საბრძოლველათ სათანადო დეკრეტის წარდგენით დამფუძნებელ კრებაში ხსენებულ მინისტრის მიერ.

გენ. მიშლაევსკის თხოვნა.

გენერალ მიშლაევსკის შუამდგომლობა სამხედრო საისტორიო საზოგადოების მუშაობის განახლების შესახებ ჯერ-ჯერობით შეუძლებლათ იქნას ცნობილი.

სამხედრო პირთა გაგზავნ-გამოგზავნის წესები.

ძალაში დარჩეს წესები შემოღებული, სამხედრო პირთა რკინის გზით გასაგზავნ-გადმოსაგზავნისა, 1919 წლის 27 თებერვლის დადგენილებით.

სამხედრო სამინისტროს 1918 წლის ხარჯების დასაფარად.

მოხსენება 5 მილიონი მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ 1918 წლ. ხარჯის დასაფარავად მოწონებულ იქნას იმ პირობით, რომ ეს ფული არ იქნება გაცემული სამეურნეო ხარჯების დასაფარავად და არც უწყების მიერ ერთმანეთის შორის აღებული ვალების გასასტუმრებლათ. დაევალოს სამხედრო მინისტრს ამ სახის დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

ჯამაგირებით დაკმაყოფილება.

გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 12,115 მან. 66 კაპ. ათ მილიონიან ფონდიდან გორის ყოფილ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლების ამა წლის იანვრის და თებერვლის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

აგრარული რეფორმის გატარება.

აგრარულ რეფორმის გასატარებლად გაგზავნილ მიწის მზომელთათვის განსაზღვრულ მიწით სარგებლობის უფლების მიცემა შეუძლებლად იქნეს ცნობილი.

სტუდენტთა კავშირის თხოვნა.

დაევალოს მიწათ-მოქმედების მინისტრს შეძლებისა და გვარად დააკმაყოფილოს სტუდენტთა კავშირის თხოვნა: მისცეს მას სახელმწიფო საწყობიდან ნივთები ფასის 40 პროცენტის დაკლებით.

დათხოვნილ მოხელეებზე.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საიურისკონსულტო ნაწილის განმარტება მოხსენებაში აღნიშნული საკითხისა მოწონებულ იქმნას ე. ი. 15 ივნისის კანონი არ ვრცელდება იმ მოხელეებზე, რომელნიც დათხოვნილ იყვნენ მის გამოცემამდე.

ჯამაგირების მომატება.

კანტორის მოხელეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ იმ სახელმწიფო წარმოებაში, სადაც მოქმედობს მეტალისტების კოლექტიური ხელშეკრულება, დადგენილ იქნა: ამა წლის 20 აპრილიდან დადგენილი იქნას ქვემო მოყვანილ ჯამაგირები სამხედრო უწყებისა და გზათა მიმოსვლის ყველა წარმოებისა და დაწესებულების მბაზავებისა. კანტორის მოსამსახურეთა და შინაგანი დაცვის დარაჯებისთვის.

	მოითხოვეს ჯამაგირი	იღებდენ ახალი ჯამ.
1) მბაზავები		
ა) ამბანაგები კონსტრუქტ.	1050-1200	700—800
ბ) მბაზავები	975-1050	650—750
გ) მბაზავ ბალდის გადამც.	825—975	550—650
2) კანტორის მოსამსახურენი:		
პირველი კატ. მოსამსახ.	1060-1100	680—750
მეორე „ „	900-1000	600—680
მესამე „ „	750—900	500—600
3. დარაჯები შინაგანი დაცვის	675	450

12 ივნისის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია. მინისტრები ბბ. კანდელაკი, რამიშვილი, ხომერიკი, გეგეჭკორი, სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. საბახტარაშვილი, ნ. ჯიჯინაძე, გედევანიშვილი, ერაძე, ცინცაძე. დეპარტამენტის დირექტორები: ბ. ჯიჯინაძე, ჰანტურიშვილი, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივნობს დ. ლომთაძე.

სიმინდის მიცემა.

დაევალოს სასურსათო საბჭოს ენერგიული ზომები მიიღოს ანანურის, ფასანაურის და საერთოთ ყაზბეგის რაიონის მცხოვრებთათვის მცხეთაში სიმინდის მისაწოდებლად.

რევიზიაში მონაწილეთა ჯილდო.

გადაიდოს 10 მილიონიან ფონდიდან ბ-ნ ვირსალაძის განკარგულებაში ყოფილ სასურსათო სამინისტროს რევიზიაში მონაწილეთა ჯილდოთ, 15000 მანეთი.

ნებართვა სურსათის შეძენისა.

უფლება მიეცეს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მთავრობის რწმუნებულს ბ. გიორგაძეს რესპუბლიკის საზღვრებში სიმინდის თავისუფლათ შეძენისა სასურსათო საბჭოს მიერ დაწესებულ ფასებში.

2 მილ. სან. ტფ. თვითმართველობას.

1) მიეცეს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას ორი მილიონი მანეთი ავანსათ ათ მილიონიან სესხის ანგარიშში. 2) ქალაქთან გირავნობის ქალალდის დასადებათ დაინიშნოს მთავრობის წარმომადგენელი, მიწათ-მოქმედების მინისტრი ბ-ნი ნ. გ. ხომერიკი.

სანოვაგის გადმოტანის უფლება.

უფლება მიეცეს ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობას ტფილისში ორი ვაგონი სიმინდის თავისუფლათ შემოტანისა მათგან შეძენილ საელექტრონო სადგურის ფასის გადასახდელათ.

ინსტრუქცია ღალების ასაკრებათ.

დამტკიცებულ იქნას ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქცია ღალების ასაკრებათ სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციების დაარსების შესახებ:

1) სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლათ აღიარებულია, რომ საიჯარო გადასახადი $^1/_{10}$ სახნავ მიწებიდან მოიჯარადრემ აუცილებლათ ნატურით უნდა გადაიხადოს.

შენიშვნა: სათივე ადგილის მოიჯარადრეს ეძლევა მოსავლის მესამედიდან ნახევრამდე.

2) ამისთვის არსდება სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციები.

3) სამაზრო ორგანო შესდგება აგრარულ რეფორმის განყოფილების გამგის, საადგილმამულო ფონდის გამგის, გვარდიის შტაბის წარმომადგენელის და ერობის მიერ დანიშნულ სპეციალური პირისაგან, რომელიც ასრულებს საქმის მწარმოებლის მოვალეობას.

4) მაზრა დაჩქარებით იყოფა რაიონებათ, სადაც დგება დროებითი სარაიონო ღალის ამკრები კომიტეტები, რომლებიც შესდგება ერთი რწმუნებულის, გვარდიის წარმომადგენელის და სარაიონო აგრარულ კომისიის, ან ერობის წვრილი ერთეულის წარმომადგენლებისაგან.

5) სამაზრო ორგანიზაციის მოვალეობაა მაზრის საჩქაროთ რაიონებათ დაყოფა და თანახმათ ქვემო აღნიშნულ მუხლისა, სარაიონო ღალის ამკრები კომიტეტების მოწყობა, მათი მოქმედების თვალყურის გდება და სამინისტროში დრო გამოშვებითი ცნობების მოწოდება.

6) სარაიონო კომიტეტები იკვლევენ რაიონში რამდენი ნაკერი საფონდო მიწებია, რამდენია ზომით, ვის ხელშია დასამუშავებლათ და აგრეთვე მათი საშუალო მოსავალს; ადგენენ მისაღებ ხორბლისა და თივის რაიონდენობის სიას; ართმევენ მოიჯარადრე გლეხებს ხელწერილს გადაწყვეტილ ხორბლისა და თივის გადახდაში; ნიშნავენ პუნქტებს, სადაც ეს ხორბალი და თივა უნდა შეგროვდეს, უგზავნიან სამაზრო ცენტრებს ყოველ კვირეული მოქმედების მოკლე ანგარიშს და სხვა.

7. სარაიონო კომიტეტს ყოველ სოფელში, სადაც საფონდო მიწებია, ყავს ღალის ამკრები აგენტები, რომლის ჯილდოს საზღვრავს სარაიონო კომიტეტი ფულად შეკრებილი ღალის რაოდენობის მიხედვით.

8. გვარდიის შტაბი პუნქტზე აყენებს დარაჯს საწყობების დასაცავათ და შეძლების დაგვარად უთმობს კომიტეტს გადასაზიდ საშუალებებს.

9. სასურსათო საბჭოს ევალება მისცეს ამ ორგანიზაციებს საჭირო რიცხვი ტომრებისა და საჭირო მასალები.

10. მთელი შეგროვილი პური შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელსაც ანაწილებს მიწათ-მოქმედების სამინისტრო.

დაევალოს მიწათ მოქმედების მინისტრს წარმოადგინოს ღალის ამკრები ორგანიზაციების შესანახი ხარჯთ აღრიცხვა, მხოლოდ მის სათანადო წესით დამტკიცებამდე უფლება მიეცეს აღნიშნულ სამინისტროს წინასწარ ხარჯებისათვის საჭირო თანხა სესხათ აიღოს სამხედრო უწყების და სახალხო გვარდიის შტაბიდან იმ სურსათის საფასურის ანგარიშში, რომელსაც მიიღებენ ეს უწყებები ღალის აკრების შემდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

კომისიის მოხსენება.

ტფილისში დაბრუნდა საგანგებო კომისია, რომელიც გამგზავრებული იყო დუშეთის მაზრაში სამხედრო და შინაგან მინისტრის განკარგულებით საგანგებო მინდობილობით. კომისიაში შედიოდნენ სამხედრო სამინისტროს მხრივ გენ. კონიაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრივ იმავე სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ვ. მგალობლიშვილი, ხოლო ერობის მხრივ დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ჭონიაშვილი. კომისიამ დაწვრილებით გაეცნო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებათა საქმეებს, მოახდინა საერთო კრება ჯარის კაცთა და გვარდიელებისა შეეხო როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბით და დაუსურათა სიძნელე არსებულ მდგომარეობისა და მიუთითა მათ ვალსა და მდგომარეობაზე, ამ ყრილობამ დიდი ზედგავლენა იქონია ჯარის კაცთა და გვარდიელებზე, რომელთაც მხურვალე სურვილი განაცხადეს მთლიან ერთიან მუშაობასა და ბრძოლაზე საერთო მტრის წინააღმდეგ კომისიის მუშაობა მეტათ ნაყოფიერი აღმოჩნდა და მთელი მასალა ამ მუშაობისა კომისიამ უკვე წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს ცალკე მოხსენებით.

—

რადგანაც ქალაქში ავრცელებენ ყალბ ხმებს ზოგიერთ რუს მოქალაქეთა და მათ შორის ი. ა. იგნატიევის, ე. ი. შამოვის, დ. დ. ეროფეევისა და სხვათა შეპყრობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრო სთვლის საჭიროთ განაცხადოს, რომ სამინისტროს ცნობებიდან და დანაშაულთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოხსენებული მოქალაქენი, რომლებიც შინაგურულათ არიან დაკავშირებულნი ეგრეთწოდებულ საზოგადოება „ზაკავკაზსკია რუს“, რომელიც ემსახურება ვითომდა განუყოფელ რუსეთის აღდგენის იდეას. ნამდვილათ კი, მიზნათ დაისახა ამ საზოგადოებამ ძველი რეაქციონური რეჟიმის აღდგენა, რისთვისაც ეწევა რესპუბლიკაში პროპაგანდას საქართველოს და მის მთავრობის წინააღმდეგ. ამ პროპაგანდამ მიიღო უფრო მკაცრი ხასიათი იმ მომენტიდან, როცა მთავრობის განკარგულებით დახურულ იქნა სამხედრო საკრებულო, ამით სურდათ ესარგებლათ მათ და რუსობა აემხედრებინათ ქართველების წინააღმდეგ. ამ განმარტებიდან ნათლათ სჩანს, რომ მიღებულ ადმინისტრატიული ზომებს, ზემოხსენებულ პირთა მიმართ არავითარი კავშირი არ მქვს რუს მოქალაქეთა იმ ყრილობასთან, რომელიც ტფილისში სწარმოებდა. ამ ჯგუფთა შეპყრობის მიზანი არის მათი მოქმედების აღკვეთა, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

ხალხთა ლიგა *).

ხელშეკრულობა.

ხელშეკრულობის დამდები უმაღლესი მხარენი, სთვლიან რა, რომ ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის და მშვიდობიანობისა და უშიშრობის უზრუნველყოფისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მიღება გარკვეულ ვალდებულობისა იმის შესახებ, რომ ომი უარყოფილია.

აშკარად მხარის დაჭერა საერთაშორისო—დამოკიდებულებისა, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობასა და პატიოსნებაზე.

სასტიკი დაცვა საერთაშორისო უფლების ბრძანებისა, რომელიც ამიერიდან აღიარებულია ყველა მთავრობის მოქმედება-ქცევის ნამდვილ წესად. დამკვიდრება სამართლიანობისა და ფაქიზი პატივისცემა ყველა ხელშეკრულობით მიღებულ ვალდებულებათა ხალხთა საურთიერთო დამოკიდებულებაში სდგმს ამ ხელშეკრულობას, რომლითაც არსდება ხალხთა ლიგა.

ლიგის შემადგენლობა.

1 მუხლი. ხალხთა ლიგის პირველ წევრებათ ითვლებიან ის მხარენი, რომელთაც ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ და რომელთა სახელებიც შეტანილია ამ ხელშეკრულობის დამატებაში, აგრეთვე ის სახელმწიფონი რომელნიც დასახელებულნი არიან ამავ დამატებაში და რომელნიც ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულობის ძალაში შესვლისა მიიღებენ ამ ხელშეკრულობას უცვლელათ და შესაფერ განცხადებას შეიტანენ სეკრეტარიატში და ამასთანავე აცნობებენ თავის სურვილს ლიგის სხვა წევრებსაც.

ყოველი სახელმწიფო, სამფლობელო, ან ახალშენი, რომელსაც თავისუფალი თვითმმართველობა აქვს, გინდაც რომ არ იყოს მოხსენებული დამატებაში, შეიძლება გახდეს ლიგის წევრათ, თუ ამის მომხრე იქნება კრების ორი მესამედი, იმ პირობით კი, რომ მან უნდა წარადგინოს ნამდვილი გარანტია თავის გულწრფელ განზრახვისა შეასრულოს ყოველგვარი საერთაშორისო ვალდებულება და მიიღოს ლიგის მიერ დაწესებული ნორმა მის ძალებისა და სამხედრო-სასღვაო შეიარაღებისა.

ლიგის ყოველ წევრს შეუძლიან ლიგიდან გავიდეს, მხოლოდ ეს მან ორის წლით ადრე უნდა განაცხადოს, ლიგიდან გასვლა შეუძლია იმ პირობით, რომ წასვლის დროს უნდა შეასრულოს როგორც ყოველი საერთაშორისო, ისე ამ ხელშეკრულობით დაკისრებული ვალდებულება.

ორგანოები.

2 მუხლი. ლიგის მოქმედებას, როგორც ეს გამორკვეულია ამ ხელშეკრულობაში, ანხორციელებს კრება და საბჭო, რომელთანაც მუდმივი სეკრეტარიატი არის.

კრება.

3 მუხლი. კრება შესდგება ლიგის წევრთა წარმომადგენლებისაგან.

კრება იმართება დანიშნულ ვადებზე, აგრეთვე ყოველთვის, როცა ამას გარემოება მოითხოვს, ლიგის რეზიდენციაში, ან სხვა რომელიმე ადგილას, რომელიც ნაჩვენები იქნება.

კრება განაგებს ყველა კითხვას, რომელიც ლიგის მოქმედების ფარგალში შედის და ეხება მსოფლიოს მშვიდობიანობას.

ლიგის თვითეულ წევრს შეუძლიან ჰყავდეს კრებაზე არა უმეტეს სამის წარმომადგენლისა, ხმა კი მხოლოდ ერთი ექნება.

*) ეს ხელშეკრულობის ტექსტი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღეს.

საბჭო.

4 მუხლი. საბჭოს შეადგენენ წარმომადგენელნი ამერიკის შეერთებულ შტატებისა, ბრიტანიის იმპერიისა, საფრანგეთისა, იტალიისა და დაპონიისა, აგრეთვე წარმომადგენელნი ლიგის სხვა ოთხის წევრისა. ამ ოთხს წევრს კრება ირჩევს განსაზღვრულ ვადით თვის სურვილისამებრ, კრებაზე არჩევნების მოხდენამდე საბჭოს წევრებათ ითვლებიან წარმომადგენელნი ბელგიისა, ბრაზილიისა, საბერძნეთისა და ისპანიისა.

კრების უმრავლესობის მოწონებით საბჭოს შეუძლიან დანიშნოს სხვა წევრნიც, რომელთა წარმომადგენლობაც საბჭოში მუდმივი გახდება.

ამავ წესით საბჭოს შეუძლიან გაამრავლოს რიცხვი ლიგის წევრებისა, არჩეული კრების მიერ, რათა ისინიც წარმოდგენილნი იყვნენ საბჭოში.

საბჭო იკრიბება ყოველთვის, როცა ამას გარემოება მოითხოვს, წელიწადში ერთხელ მაინც კრება კი აუცილებელია ლიგის რეზიდენციაში, ან იმ ალაგას, რომელიც შეიძლება იყოს ნაჩვენები.

საბჭო განაგებს ყველა კითხვას, რომელიც ლიგის მოქმედების ფარგალში შედის და ეხება მსოფლიოს მშვიდობიანობას.

ლიგის ყოველი წევრი, რომელიც წარმოდგენილი არ არის საბჭოში, საბჭოს მოწვევით ჰგზავნის საბჭოში ერთს თავის წარმომადგენელს იმ დროს, როდესაც საბჭოს განსახილველი აქვს მის შესახები საკითხი.

ლიგის ყოველ წევრს, რომელიც წარმოდგენილია საბჭოში, აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ჰყავს მხოლოთ ერთი წარმომადგენელი.

პ რ ო ც ე დ უ რ ა.

5 მუხლი. იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც ამ ხელშეკრულობით დადგენილია კრების თუ საბჭოს გადაწყვეტილების საწინაღმდეგო, ყოველი საკითხი კრებაზე ან საბჭოში მუდმივი გახდება.

ყოველი საკითხი პროცედურისა, რომელიც კრების, ან საბჭოს სხდომაზე აღიძრება, მათ შორის კომისიის დანიშვნაც კერძო შემთხვევითა გამოსარკვევათ სწყდება კრებაზე დამსწრე ლიგის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პირველი სხდომა კრებისა, აგრეთვე საბჭოსი გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მოწვევით.

სეკრეტარიატი.

6 მუხლი. მუდმივი სეკრეტარიატი არსდება ლიგის რეზიდენციაში. მას შეადგენს მთავარი მდივანი, აგრეთვე მდივნები და საჭირო პირადი შემადგენლობა.

პირველი მთავარი მდივანი აღნიშნულია დამატებაში.

შემდეგი მთავარი მდივანი ინიშნება საბჭოს მიერ კრების უმრავლესობის მოწონებით.

მდივნებს და პირადს შემადგენლობას ნიშნავს მთავარი მდივანი საბჭოს თანხმობით.

ლიგის მთავარი მდივანი თავის თანამდებობით წარმოადგენს მთავარს მდივანს საბჭოსი და კრებისას.

სეკრეტარიატის ხარჯს ისტუმრებენ ლიგის წევრნი, თვითეული იხდის იმდენს, რამდენსაც დააწესებს მის წილად მსოფლიო საფოსტო კავშირის საერთაშორისო ბიურო.

რეზიდენცია და ხელშეკრულობა.

7 მუხლი. ლიგის რეზიდენციად არჩეულია ჟენევა.

საბჭოს ყოველ დროს შეუძლიან გადაიტანოს იგი იქ, სადაც უნდა.

ყოველი თანამდებობა ლიგაში, ან მასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში, აგრეთვე სეკრეტარიატში, შეუძლიან ერთნაირათ მიიღონ ქალებმაც და კაცებმაც.

ლიგის წევრთა წარმომადგენელნი, აგრეთვე მათი აგენტები მოვალეობის აღსრულების დროს სარგებლობენ სადიპლომატო შეღავათებითა და ხელშეუხებლობით.

შენობები და ადგილი, რომელიც უჭირავს ლიგას, მის დაწესებულებებს და კრებას, ხელშეუხებელია.

შეიარაღების შეზღუდვა.

8 მუხლი. ლიგის წევრნი აღიარებენ, რომ მშვიდობიანობის დაცვა მოითხოვს ცალკე სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირებას იმ მინიმუმამდე, რომელიც შეეგუება ამა თუ იმ ხალხის უშიშროებას და საერთო მოქმედებას და საერთო მოქმედების აუცილებლობით გამოწვეულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას.

საბჭო როდესაც ადგენს ამ შემცირების პროგრამას შესაფერ მთავრობასთან წარსადგენათ, განსახილველათ და გადასაწყვეტათ, შეიდელობაში იღებს თვითეულ სახელმწიფოს წევრის გეოგრაფიულს მდებარეობას და განსაკუთრებულ პირობებს.

ეს პროგრამები შეიძლება ხელ-ახლა იქნენ გადასინჯულნი. საჭიროების დროს კი შეცვლილნიც ყოველ ათ წელიწადში ერთხელ კი აუცილებლათ უნდა იქმნენ გადასინჯულნი.

ამ პროგრამების მიღების შემდეგ მთავრობანი ველარ გადააბიჯებენ ერთხელვე ნაჩვენებს საზღვარს შეიარაღებისას, თუ იმის ნებას საბჭო არ დართავს.

რადგანაც ამუნიციისა და სამხედრო მასალა-იარაღის კერძო ფაბრიკაცია დიდს წინააღმდეგობას იწვევს, ამიტომ ლიგის წევრნი ავალებენ საბჭოს, შეიმუშავოს ზომები ამის ამა სასურველ შედეგების ასაცილებლათ და მხედველობაში მიიღოს ლიგის იმ წევრთა საჭიროებანი, რომელნიც თავიანთ უშიშროების დასაცავად საჭირო ამუნიციასა და სამხედრო მასალა-იარაღს ვერ დამზადებენ.

ლიგის წევრნი პირობას სდებენ, რომ ერთმანეთს სრულად და დაუფარავად გაუზიარებენ ყოველგვარ ცნობას თავიანთს სამხედრო შეიარაღების, სამხედრო-საზღვაო პროგრამებისა და მრეწველობის იმ დარგების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ომის საჭიროებისათვის.

სამხედრო და საზღვაო კომისია.

9 მუხ. არსდება მუდმივი კომისია, რომელმაც თავისი დასკვნა უნდა მიაწოდოს საბჭოს 1 და 3 მუხლის შესრულებისა, აგრეთვე საერთო და სამხედრო-საზღვაო საკითხების შესახებ.

ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის გარანტია.

10 მუხლი. ლიგის წევრნი ვალდებულნი არიან პატივით მოეპყრან და დაიცვან ყოველ გვარ გარეშე ხელშეხებისაგან ტერიტორიალური მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრისა. თავდაცვისა, მუქარისა ან შიშის მოლოდინის დროს საბჭო ზომებს იღებს იმ მიზნით, რომ შეასრულოს ეს ვალდებულება.

ომის მუქარა

11 მუხლი. ამით გადაჭრით ცხადდება, რომ ყოველგვარი ომი ან მუქარა, რომელიც პირდაპირ, ან არა პირდაპირ ეხება ლიგის რომელიმე წევრს, საერთოდ მთელს ლიგასა ეხება, ლიგამ ამ შემთხვევაში უნდა მიიღოს ზომები, რომელიც ნამდვილად დაიცავს მსოფლიო მშვიდობიანობას. ყოველ ისეთ შემთხვევაში ლიგის რომელიმე წევრის თხოვნით მთავარი მდივანი დაუყოვნებლივ იწვევს საბჭოს.

ამას გარდა ლიგის ყოველს წევრს აქვს უფლება მეგობრული წესით კრებისა ან საბჭოს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებაზე, რომელსაც შეუძლიან შეარყიოს საერთაშორისო დამოკიდებულებანი და დაარღვიოს შემდეგში მშვიდობიანობა ხალხთა შორის, ან ისეთი კეთილი შეთანხმებანი მათ შორის, რომელზედაც დამოკიდებულია მშვიდობიანობა.

პროცედურა დავის დროს.

12 მუხ. ლიგის ყველა წევრი თანხმდება იმას, ყოველივე დავა მათ შორის, რომელსაც განხეთქილების გამოწვევა შეუძლიან, წარდგენილ იქმნას გასარჩევად საარბიტრაჟო წესით, ან გადაეცეს განსახილველად საბჭოს, ყველანი ერთგვარათ თანახმანი არიან, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიმართავენ ომს, ვიდრე სამი თვე არ გავა არბიტრის განაჩენისა, ან საბჭოს მოხსენების დღიდან.

ყოველ ისეთს შემთხვევაში, რომელიც ნაგულისხმევია ამ მუხლით, არბიტრის განაჩენი გამოტანილ უნდა იქმნას ვადაზე, გადაცილებულად. ხოლო საბჭოს მოხსენება შემუშავებულ უნდა იქმნას ექვსის თვის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, როდესაც დავა მას განსახილველად გადაეცა.

(დასასრული იქნება)

ე რ ო ბ ა

სილნალის სამაზრო ერობაში.

წესდება დროებით სახელმძღვანელოთ სილნალის მაზრაში ახლად შემოღებულ სათემო თვითმართველობაში.

თემის გამგეობა.

(გაგრძელება)

25. თემის გამგეობა შესდგება თავმჯდომარისაგან და არა ნაკლებ გამგეობის ორი წევრისაგან.

26. გამგეობის თავმჯდომარეს და გამგეობის წევრებს ირჩევს თემის საბჭო ოცდაერთ წელს მიღწეულ და წერა-კითხვის მცოდნე პირთაგან. გამგეობის თავმჯდომარედ და გამგეობის წევრებად შეიძლება არჩეულნი იქმნენ არა-ხმოსნებიც. სათემო თვითმართველობის შემოღებისთანავე არჩეული პირველი სათემო გაბგეობა ირჩევა ვადით 1920 წლის 1 იანვრამდე.

27. გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად არჩეულ პირებს, რომელნიც არჩევის დროს საბჭოს სხდომაზე არ იმყოფებოდნენ, ეგზავნებათ არჩევის შესახებ საბჭოს თავმჯდომარისაგან უწყება, და თუ მათ შვიდის დღის განმავლობაში თანხმობა არ განაცხადეს, უპასუხოდ დატოვება, ჩაითვლება თანამდებობაზე უარის განცხადებათ.

28. თემის გამგეობას აქვს საკუთარი ბეჭედი, რომლის ფორმაც დამტკიცებული უნდა იყოს სამაზრო ერობის გამგეობისაგან.

29. გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობებს ვერ დაიკავებენ, ერთსა და იმავე დროს, ახლობელი ნათესავები, მამობილი, შვილობილი და მეუღლები.

30. თანამდებობა გამგეობის თავმჯდომარესა არ შეიძლება იყოს შეთავსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის არც ერთ სხვა ჯამაგირიან ადგილთან.

31. გამგეობის თავმჯდომარეს და წევრებს ეძლევათ თემის ხმოსნის უფლებები იმ შემთხვევაში თუ ისინი ხმოსნებად არ ირიცხებიან.

32. გამგეობის თავმჯდომარესა და გამგეობის წევრებს არ შეუძლიანთ აიღონ სამუშაო ან დასდონ რაიმე ხელშეკრულება სათემო თვითმართველობასთან ვიდრე ისინი თანამდებობაზე ითვლებიან.

33. სათემო გამგეობის თავმჯდომარესა და წევრებს დასასვენებლად წასვლის ნებართვას ერთ თვემდე აძლევს თემის გამგეობა. უფრო ვრცელის ვადით-კი დასვენების ნებართვას აძლევს თემის საბჭო, რის შესახებაც ეცნობება სამაზრო ერობის გაომგეობას.

34. თემის გამგეობას ეკისრება:

1) დამზადება საჭირო ცნობებისა საბჭოს სხდომაზე წარსადგენათ და საბჭოს დადგენილებათა სისრულეში მოყვანა.

2) შედგენა თავის ხარჯთაღრიცხვის და სათემო გადასახადების გაწერის პროექტებისა. თვალყურის დევნება თემის შემოსავალსა და გასავალზე.

3) თვითმართველობის დაქვემდებარებულ პირთა და დაწესებულებათა ანგარიშის წარმოების და ამ ანგარიშების რევიზიის წესების განსაზღვრა თემის საბჭოს დავალებით.

4) საბჭოს მეთვალყურეობით წარმოება საჩივრებისა სათემო თვითმართველობის საქმეებზედ.

5) წარდგენა თემის საბჭოსთვის ანგარიშებისა გამგეობის მოქმედების, ფულის ოპერაციის, თემის თანხების და თვითმართველობის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა და ჭონებათა მდგომარეობის შესახებ.

6. თემის ფარგლებში თვალყურის დევნა შენობებზე და გაცემა სათანადო ნებართვისა, „საამშენებლო დებულების“ და არსებულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად.

7) თვალყურის დევნა მიღებულის წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა შესრულებაზე.

8) პიროვნების მოწმობის გაცემა, ხელის-მოწერის სინამდვილის შემოწმება.

9) ხელშეკრულებათა წიგნის წარმოება კანონით განსაზღვრულის წესით.

10) სამაზრო ერობის გამგეობის მინდობილობით განკარგულებათა გაცემა თემის ფარგლებში იმ საქმეებზედ, რომელიც სამაზრო ერობის გამგებლობაში იმყოფება.

11) წარდგენა ანგარიშისა ამ საგნების შესახებ ერობის გამგეობისათვის.

12) რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის ან სამაზრო ერობის გამგეობის დავალებით კანონებისა, მთავრობის განკარგულებათა და სამაზრო ერობის სავალდებულო დადგენილებათა გამოქვეყნება.

13) სულთაღწერის სიების წარმოება და სამხედრო ბეგარასთან დაკავშირებული საქმის წარმოება და აგრეთვე დაბადებულთა რეგისტრაცია.

14) გამგებლობა ადგილობრივი მილიციისა, რომლის მუდმივი ზედამხედველობაც ეკისრება გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

35. ჩამოთვლილ მოვალეობათა გარდა, თემის გამგეობა ასრულებს ყველა სხვა მოვალეობას, რასაც კანონი დააკისრებს.

36. კითხვები გამგეობაში სწყდება კოლეგიალურის წესით, ხმის უმეტესობით.

37. ისეთ შემთხვევაში როდესაც საქმის გადადება შეუძლებელია, თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს შეუძლიან თვით მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც კოლეგიალურ უფლებებს შეადგენს, მაგრამ მოვალეა მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს გამგეობას მახლობელ სხდომაზედ.

38. თავმჯდომარისა და წევრთა შორის შრომისა და მოვალეობათა განაწილებას. თავმჯდომარის მოადგილეობისა და სხვა წესებს იმუშავებს თემის გამგეობა და მოახსენებს ცნობათ თემის საბჭოს.

39. გამგეობის კანცელარიაში და მის გარეთ მოსამსახურე პირთა შტატს ამტკიცებს თემის საბჭო და საზღვრავს მათს ჯამაგირებს.

40. გამგეობა იწვევს მდივანს, რომელიც განაგებს გამგეობის კანცელარიას და სარულეში მოყავს გამგეობის დადგენილებანი.

1) **შენიშვნა:** მდივნის თანამდებობას ადსრულება შეიძლება დაეკისროს გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

2) **შენიშვნა:** სათემო მილიციას უფროსს ირჩევს თემის საბჭო გამგეობის წინადადებით.

41. ჯამაგირი გამგეობის თავმჯდომარისა, გამგეობის წევრებისა და მილიციის უფროსისა ისაზღვრება საბჭოს მიერს ამ პირთა თანამდებობაზე არჩევამდე.

მუშათა ცხოვრება

მუშათა ცენტრალურ საბჭოს სხდომა.

(სეკრეტარიატი)

ივნისის 6, მუშათა პროფეს. კავშირების ბინაზე შესდგა სეკრეტარიატის ჩვეულებრივი სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) რეგლამენტი სეკრეტარიატის; 2) მოხსენება მოლარესი; 3) მოხსენება ბიბლიოთეკაზე და 4) მოხსებება მომრიგებელ კამერაზე და შემდეგ კი მიმდინარე კითხვები.

თავმჯდომარეობს ბ-ნი ა. ხელაძე. სიტყვა ეძლევა პირველ საკითხის შესახებ მომხსენებელ ბახტაძეს. ბახტაძე კითხულობს რეგლამენტს და სხდომა მას პუნქტუალურად არჩევს. ბევრ საყურადღებო მუხლთა შორის აღსანიშნავია ის, რომ წევრი, რომელიც ზედიზედ უმიზეზოდ არ დაესწრება სხდომას გამორიცხული იქნება წევრობიდან.

პუნქტუალურ განხილვის შემდეგ ზოგიერთ დამატებით და შესწორებით რეგლამენტი მიღებულ იქნა. შემდეგ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს სეკრეტარიატის მოლარე ბ-ნი საღარაშვილი. 1) მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ანგარიშს უდგენს სხდომას ნოემბრის 1, 1918 წლიდან ივნისის 1-დე 1919 წლამდე. ამნაირად, ამბობს ის შემოსავალი სალაროში დარჩა 1, ნოემბერს 1980 მან. 72 კაპ.; 2) ბინის ქირა სხვა და სხვა პროფესიონალურ კავშირებიდან 13147 მან.; 3) %.% სხვა და სხვა კავშირიდან 14367 მან. 27 კაპ.; 4) შრომის სახალისტროდან მომრიგებელ კამერის ხარჯების დასაფარავად 10,000 მან.; 5) კავშირებიდან კამერისათვის %.% 8,000 მან.; 6) სხვა და სხვა სახის შემოწირულება 5,000 მან.

ჯამი 52,038 მან. ეხლა გასავალი ე. ი. დახარჯა ზემო ნაჩვენებ დროიდან დღემდე 1) სეკრეტარიატის მოსამსახურეებს ჯამაგირი 24648 მან.; 2) იურიდიული კონსულტატი 1,800 მან.; 3) შინაური ხარჯი 2131 მან.; 4) საკანცელარიო გასავალი 1555 მან.; 5) განათება 3417 მან. 15 კაპ.; 6) სტამბის ხარჯი 940 მან.; 7) ფოსტა-ტელეგრაფზე დაიხარჯა 115 მან.; 8) განათება 125 მან.; 9) მიცემულია ძველი ვალის 2264 მან. 65 კაპ.; 10) ჯამაგირი მომრიგებელ კამერის მოსამსახურეებს 10897 მან. 80 კაპ. და 11) წვრილი ხარჯები 273 მან. ჯამი 47616 მან. 60 კაპ. ამნაირად სალაროში დარჩა 4321 მან. 40 კაპ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ფული, რომელიც შემოვიდა დიდი შრომით და ძალდატანებით შემოდიოდა სეკრეტარიატის სალაროში და მიმართა წევრებს, რათა ყველამ ვალდებული გახადოს თვისი კავშირი, რომ გადასახადი და %.% შეწერილი ნორმა დროზე შემოიტანონ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო ხელაძემ, გიორგაძემ, ბახტაძემ, ჩხარტიშვილმა, კიკნაძემ და სხვა. ანგარიში უცვლელათ დაამტკიცა სხდომამ. დაადგინეს, რომ სმეტა მომავალის წარმოდგენილ იქნეს უახლოეს სხდომაზე.

მესამე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ბ-ნი ბახტაძე. ბახტაძე ამბობს, რომ ფრიად სიმპატიური იდეა დაებადათ ზოგიერთ მოჭირნახულეს და მათ შორის კი განსვენებულ ჩვენი ამხანაგის ს. მაისურაძის ქვრივს. ქ-ნ მაისურაძე შემოვიდა წინადადებით სეკრეტარიატ-ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ მუშებისათვის. ეს ბიბლიოთეკა ახლა ჩვენთვის დიდ საჭიროებას მოითხოვს და თუ ვინმე დაგვეხმარება ამის მოგვარებაში მე მგონია სხდომას არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება. ჩვენ სეკრეტარიატს გვქონდა ამაზე მსჯელობა, ბინა მივეცით თვით ამ შენობაში, ვინაიდან მუშებთან ახლო უნდა იყოს ეს ბიბლიოთეკა და ახლა მე მინდა, რომ სხდომამ აირჩიოს

ორი ან სამი ჩვენი წევრთაგანი, რომელიც იმ კომისიაში იმუშავებს მათთან ერთად. იმ კომისიაში შედიან თვით ქ-ნი მაისურაძისა ნ. ნაკაშიძისა და სხვა. წიგნები ჯერ ჯერობით ქ-ნი მაისურაძეს მოუგროვებია საქმაო და მე მგონია, რომ ჩვენც შევკრებთ თუ კი ჩვენი მოამაგენი ამას მოითხოვენ. ასე რომ ჩვენ ახლა უნდა ავირჩიოთ წევრები და გავაგზავნოთ მათთან სანუშუქრათ. კომისიაში შედიან ქ-ნნი ნაკაშიძისა, მაისურაძისა, ქ-ნი სოლაშვილი ძრძანებელი და სხვა.

3) შემდეგი კითხვა იყო მომრიგებელ კამერის შესახებ, ამ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ბ-ნ ბახტაძემ. ბახტაძემ აცნო სხდომას, რომ კომისიას მუშაობა ჯერ არ გაუთავებია მომრიგებელ კამერის წესდების შედგენის შესახებ, მაგრამ დღის სეკრეტარიატი უნდა შემოვიდეს წინადადებით, რათა უზრუნველ ეყოთ არსებობა კამერის, თორემ სეკრეტარიატის სალაროს არავითარ გზით არ შეუძლია დააკმაყოფილოს თავის თანხიდან მომრიგებელ კამერის ხარჯები. დიდ ყმათის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: 1) ძველი ვალი გადახდილ იქნას პროფეს. კავშირების იმ შემოსავლიდან, რომელიც გაწერილია იმ კავშირებზე და დღეს-დრო-ტარი შემოიტანონ. 2) ერთდროულათ შეწყდეს თითო კავშირს, რათა შემოიტანონ თავისი წილადი, რაოდენობის აღნუსხვა დაეგზავნის სეკრეტარიატს. 3) მიეცეს კატეგორიული წინადადება მექარხნე-მეფაბრიკეთა საზოგადოების დაბმარების სახით კამერისათვის ვრცელგვარი თანხა შემოიტანონ სეკრეტარიატში. დღეს წესრიგში მოთავსებულ კითხვების შესწავლა ბ-ნ ბახტაძემ ამცნო სხდომას ერთი ფურად საყურადღებო თხრობა. თხრობა ხელმოწერილია 400 მუშის მიერ, სომხეთის სოფელ სისიმადანის ქარხანაში მომუშაეთაგან. მოხსენებულთ და საქმის ვითარებასთან დაახლოვებულმა ამაყე მუშების წარმომადგენელმა, როგორც აღნიშნა, ეს მუშები ყოფილან ჯერეთ მდგომარეობაში, მუშაობენ, (ხე-ტყეს ჭრიან), მაგრამ არავითარი სანოვაგე მათ არ მოპოვებიათ, რომ თავი ირჩინონ. მუშები უპასუხისგების გამო ხდებიან სახალხო ავათ და ბევრი იხოცება კიდეც. ინგლისის სარდლობას ძალიან მხედველობაში ასეთი მდგომარეობა, მაგრამ აქამდი საშველი არ არის თურმე. მუშები ხის კოხს და ეთოვეარ ჩალას ჭამენ. ჭაობური და საგები სრულიათ არა აქვთ. ცვილი შეპირება ყოფილა ინგლისელ ამბრიკელის მისიიდან, მაგრამ არაფერს არ გაუგზავნია დღემდი მხოლოდ ერთმა ინგლისელმა აღნიშნა, რომ ამას გარდა პოლიტიკური ხასიათი ექნება თუ ტფილისის სეკრეტარიატი მით გაუწყვდის მუშებს ხელს, დროზე მიეშველება და ახსნის სიმწარეს. სასოწარკვეთილებიდან იქაურ მუშებსო. სასოწარკვეთის ვერ შეიძლებათ იმიტომ, რომ თქვენ უფრო ახლო ხართ შაკალასთან და სეკრეტარიატი, დარწმუნებული ვართ უფრო დაბეჯითებით მოეკიდება ამ საქმეს. მოისმინა რა ეს განკხადება ასეთ ძგრძნობიარეობის შესახებ სეკრეტარიატში დადგინა: 1) სეკრეტარიატის სამუშაოებით მიეცეს სასიკვდილოს მუშების წარმომადგენელს მთავრობისგან ნებართვა ორი ვაგონი ფქვილის გატანის ტფილისიდან. ერთ-ერთ სალამოს გაემართოს მუშათა კლუბის სახელით საზეიმო შეხვედრა კონცერტი-სეირნობა, რის მთელი შემოსავალი მიეცეს ზემოხსენებულ ქარხნის მუშებს.

3) მოწოდებით მიმართოს სეკრეტარიატმა ყველა კავშირებს, რათა მათ შეძლებისადაგვარათ ფულით დაეხმარონ ამ მუშებს და თანხა სეკრეტარიატში შეიტანონ. ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა მოაძებნოს ხსენებულის განსამართავად საზეიმო შენობა. სხდომა დაიხურა 11 საათზე ღამით.

მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

(სეკრეტარიატი).

სეკრეტარიატში თავის ერთ-ერთ სხდომაზე დაინტერესდა, რომ ჩვეულებრივი სხდომები საბჭოსი ხდებოდეს ერთხელ კვირაში კი არა, ორჯერ კვირაში საფუძვლის გამო, გინაიდან ხელი დაბურულ შენობაში არ აძლევს წევრებს ხშირად თავისუფლათ იგრძნონ თავი, რაიც ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობას და ზოგადად სხდომის გათავებამდე დარბაზში ძალიან არეზიდიუმი რჩება.

საქართველო პალატაში.

საქართველო პალატის მუშაობა ნაყოფიერად ხდებოდეს. ჯერ-ჯერობით ორჩევა მხოლოდ თამბაქოზე მომუშავეთა მოთხოვნილება. განსაზღვრულია, მოკლე ხანში პალატას გადაეცეს განსახილავათ არაყის და ღვინის საქართველოში მომუშავეთა მოთხოვნილება მთავრობა დანიშნულია დღეს კვირას დილის 10 საათზე შრომის სამინისტროში.

მრეცხავ და სამღებრო სახელოსნოებში მომუშავეთა გაფიცვა.

მრეცხავ და სამღებრო სახელოსნოებში მომუშაეთა პროფ. კავშირმა წაუყენა ამ ორი ქვირის წინათ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილება დამქირავებლებს. დამქირავებლები კავშირს ვერ შეუთანხმდენ და საქმე განსახილველათ გადასცეს გუბერნიის შრომის კომისარს. შრომის კომისარიატშიც არ მოხდა შეთანხმება; შრომის კომისარმა მიუთითა ორივე მხარეს საარბიტრაჟო კომისიას, მაგრამ ამას დამქირავებლები არ დაეთანხმნენ. შრომის კომისრის წინადადებით სამი დღის ვადაში დამქირავებლებს უნდა მიეცათ კომისარიატისთვის ცნობა საარბიტრაჟო კომისიის შესახებ. მათ უარით უპასუხეს პროფ. კავშირმა იქონია საერთო კრებაზე დამქირავებლების მოქმედებაზე მსჯელობა და ერთხმათ გაფიცვა გამოუცხადა. გაფიცვა ორი დღეა რაც მწყობრათ მიმდინარეობს. რამდენათ შრომის კომისარიატს ატყობინებენ სამ ადგილას გაფიცვის—კომიტეტის დადგენილება დარღვეულა ყოფილა. გაფიცულების ადგილზე მიუღიათ დამქირავებლებს გარეშე პირები. შრომის კომისარმა სწრაფლ აუწყა უბნის კომისრებს, რომ მომუშავები დათხოვნილ იყვენ სახელოსნოებიდან. გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა.

მუნიციპალური ცხოვრება

ოზურგეთის თვითმართველობაში.

ბარჯთ აღრიცხვის დამტკიცება.

საბჭომ დაამტკიცა ამა 1919 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც შემოსავალი, ისე გასავალი მიმდინარე წელში ნავარაუდევია 828792 მ.

შემოსავალი: შეფასებითი გადასახადი ძველი წლებიანი 64489 მან. ვაჭრობა-მრეწველობისაგან 80350 მ. ძალიანი ქალაქდების, საბეთების წარდგენა და დამტკიცება 100 მ. ქალაქის მამულებიდან შემოსავალი 29,023 მ., ქალაქის მუნიციპალური დაწესებულებიდან 472000 მ., დახმარება და ხარჯების ანაზღაურება 228430 მ. სხვა და სხვა ხარჯები 4300 მან., სულ კი 828792 მან.

გასავალი: ქალაქის თვითმართველობის შენახვა 187606 მ, მილიციის შენახვა 75840 მ., ცეცხლის მქრობელი რაზმის შენახვა (იარაღების შეძენა) 5000 მ., ქალაქის კეთილმოწყობიდენა: ქუჩების შეკეთება, ხიდების გაკეთება, ჭაობების გაშრობა და სხ. 137340 მ, ქალაქის მუნიციპალურ დაწესებულებათა შენახვა 224800 მ., სახალხო განათლება 143492 მან., საექიმო, საბერთალო და სანიტარული განყოფილება 21500 მ., ქალაქის მაძულებებზე შეწერილი სახელმწიფო გადასახადების გადახდა 420 მ., ქალაქის მამულების შენახვა 1120 მ. ვალების გადახდა 18, 130 მან., სხვა და სხვა ხარჯები 63, 540 მან., სულ გასავალი 828 792 მან.,

ვაჭრის გიმნაზიის დირექტორმა სასკოლო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ილ. ფერაძემ უკვე დაასრულა საქალაქო დაბალი სკოლების რევიზია. როგორც მოხსენებიდგან სჩანს რევიზიის შედეგი ოთხიოდ სკოლაში დამაკმაყოფილებელია.

აფთიაქის მოსამსახურეებმა ამ დღეებში გაიობაე წარუდგინეს ბევრ ახალი მოთხოვნილება მოსამსახურენი მოითხოვენ იმ პირობებს რაც არსებობს ამ ყამათ ქუთაისის და ფოთის აფთიაქებში.

აფთიაქის გამგე ივ. ვასაძე 1 აპრილიდან სამსახურიდან დათხოვნილ იქნა შეჭმული კონფლიქტის გამო გამგეობის და ფარმაცევტის შორის.

ადანოები.

ქალაქი ამ 11 ადანოდან, რომელიც აიღო მან იყიდით, 3 ადანოს იყიდიგაროვის, მურსაყულოვის, და გოგილოსი ალარიდეს, ვინა დან საეკსპლოატაციოთ ნაკლები შემოსავლიანია.

ბანკიდან

ამა ტაბეროსოვის ძე ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უცადო პასპორტი № 5354 და პატრის ჩეკი № 3488. პასპორტი და ჩეკი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 784 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 9-ს ყადაღა, რომელიც დადებული იყო სოლომონ ფრიდონის ძე კვახაძის უძრავ ქონებაზე და აღნიშნული ქ. სოხუმის 1902 წ. ყადაღათა კრებ. მე—80 №-ით, გაუქმებულია. ქ. სოხუმის 1919 წ. ყად. კრ. № 45. 904 1—1

1918 წ. ივნისის 27-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ აღნიშნულია ქ. ტფილისის I განყ. სიმტკიცის საქ. წიგნში ტფ. ნოტარიუს მაჭავარიანთან 1918 წ. აპრილის 8-ს შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც დარია ილიას ასულმა თარხან მოურავოვმა 4370 მ. შეიძინა 1914 წლ. თებერვლის 4-ს ტფ. ოლქ. სას. მომხდარ საჯარო ვაჭრობაზე მიწის ნაკერი, ზომით 117-² ქვ. ს. მამული მდებარეობს ქ. ტფილისის I უბ. «ვაკეზე» ქალაქ. №№ 905 და 906-ბ, და ეკუთნოდა დავით ივანეს ძე თარხან—მოურავოვს. გადახდილია: განცხ. 1 მ. 50 კ., საკანცელარიო 80 კ., საქმტო 3 მ., სიმტკიცის 174 მ. 80 კ. ამონაწერი 22 მ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 260 1—1

1918 წ. ივნისის 18-ს ტფ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ აღნიშნულია ქ. ტფილისის I განყ. სიმტკიცის საქ. წიგნში 1918 წ. ივნისის 6-ს ტფილისის ნოტარიუს ბოტეზატთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც მაგდალინა აბრამის ასულმა მიროშნიკოვმა დიდი ხნის მფლობელობით დაირჩინა მიწის ნაკერი, ზომით 16 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისში, მეორე კომისარიატში, რაკეტის შესახებევში. მამული შეფასებულია 420 მ. გადახდილია: განცხ. 1 მ. 50 კ. საკანც. 80 კ., საქმტო 3 მ., სიმტკიცის 16 მ. 80 კ. ამონაწერი 2 მ. 50 კ. ღირებულების საღერძო ადგილზე მიცემულია. 261 1—1

1918 წ. დეკემბრის 20-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა გაყოფის აქტი, რომლითაც ალექსანდრე და არკადი ნაზარის ძეთ მილოიებმა გაიყვეს მამული შეფასებული 23000 მ. მამული შეიცავს მიწის ნაკერს, ზომით 205 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისში, მე-8 უბ., ქალაქ. № 98. გადახდილია: საქმტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ. მთავარი ამონაწერი 115 მან. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 63 1—1

1918 წ. ივნისის 19-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ გორის მაზ. სიმტკიცის საქმეთა წიგნში, აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ცხინვალის ნოტარიუს გოცირიძესთან 1918 წ. მარტის 14-ს, რომლითაც პეტრე დავითის ძე ბეჟანოვმა, იგივე სანაკოევმა, 87 მ. შეიძინა 1918 წ. თებერვლის 9-ს, ცხინვალის სამომრჩეველო უბანში მომხდარ საჯარო ვაჭრობაზე მიწის ნაკერი, ზომით აღმ.—29 ½ არ., დასავლ.—30 ½ არ., ჩრდ. 19 ½ არ., სამხ. 19 ½ არ. მამული მდებარეობს გორის მაზრაში ს. დვირში და ეკუთნოდა აღექსი და ივანე სოლომონის ძეთ კვაგინიძეებს გადახდილია: განცხ. 1 მ. 50 კ., საკანც. 80 კ., საქმტო 3 მ., სიმტკიცის 3 მ. 48 კ. ამონაწერი 50 კ. ღირებულების საღერძო ქაღალდზე მიცემულია. 262 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 9-ს, ყადაღა, რომელიც დადებული იყო ანდრიას ნიკოლოზის ასულის ტოლორიდეის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქოიავას, სოფიო ნიკოლოზის ასულის კუტაკევჩის და ქსენია ნიკოლოზის ასულის თოდუას უძრავ ქონებაზე და აღნიშნული სოხუმ. ოლქ. 1913 წ. ყადაღათა კრებ. მე-207 №-ით—გაუქმებულია. ი.ბ. თ.ქ. 1919 წ. ყადაღათა კრ. № 4. 904 1—1

დავით ელიას ძე ჯაფარიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე, რომელშიაც იყო 1) ფული 3445 მან. და 2) პიროვნების მოწმობა, მოცემული შორაპნის ქალაქის სამკრებულოდან და ბრძანება ბ. მიქელ-მოქმედების მიმისტრის [illegible] რის უფროსად დანიშვნის შესახებ. ზემო მოხსენებული საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 786 3—2

ლუკა ალექსანდრეს ძე ცისკარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც აღებული ჰქონდა 1907 წელს, მაისის 25-ს № 3594 ბაქოს პოლიციმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი დღიდან განცხადებისა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 776 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 9-ს ყადაღა, რომელიც დადებული იყო მოსე აბრამის ძე რაბინოვიჩის უძრავ ქონებაზე და აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრ. მე 17 №-ით, გაუქმებულია. 1919 წ. ქ. სოხუმის ყად. კრებ. № 3. 904 1—1

სევერიანე თედორეს ხალიდრავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი, მიღებული ბორნის სამხედრო სასწავლებლის კანცელარიიდან 1910 წ. ატესტატი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 779 3—2

აბელ აბელის ძე კალატოზიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო: 1) პასპორტი, აღებული, ტფილისის მილიციის სამმართველოდან, 2) რკინის გზის დუბლიკატი 3) 1400 მანეთის ეკვსილი. 4) სოფელ ჭარგლის კოოპერატივის მოწმობა სხვ და სხვა საქონლის შესაძენად. და სხვა და სხვა ბარათები. მპოვნელს სთხოვენ ზემო აღნიშნული საჭირო ქაღალდები გაგზავნოს მილიციის სამმართველოში კალატოზიშვილის გადასაცემათ, რისთვისაც ჯილდოდ დაიტოვოს ის 6400 მ. რომელიც საფულეში იყო ქაღალდებთან ერთად. 773 3—3

ჭარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მ. ს. წ. წ. ივნვეს გარდაცვალებულ ს. ძლევი-ჯვარში (გორის მაზრა) მცხოვრ. ზურაბ (ზუნა) თომას ძე მელაძეს მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება მელაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ მე-1241 მ. სამ. კან. კრებულში აღნიშნულ ვადაზე. 759 3—2

ექსილობა № 4258, მიცემული ნინო ბადდასარიანის მიერ კარაპეტ ნიკიტის ძე ადამიანცზე 1918 წ. ოქტომბრის 26-ს ტფილისის ნოტარიუს ქართველოვთან შედგენილი, გაუქმებულათ ითვლება. 777 3—2

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე აწვევს გარდაცვალებულ სპარსეთის ქვემევრდომ ბაგრატ ლაჩინოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 15 3—3

დაკარგულია კვიტანცია აკციაზე და მერკური» და «ვოსტოჩნოე.ი № 328141 მოსკოვიდან ტფილისში ტვირთის გამოგზავნის მ. ბ. არუშანიანის სახელზე. კვიტანცია გაუქმებულათ ითვლება. 774 3—3

ტფილისის ქალაქის საბჭოს

მიერ მიმდინარე წლის 29 მაისს მიღებული სავალდებულო დადგენილება წყლის ტარიფის განაწილების შესახებ მომხმარებელთა შორის.

1. სახლის პატრონებს უფლება აქვთ განსხვავება წყლის ძველს და ახალს ტარიფებს გაანაწილონ მდგმურებს შორის სახლის ქირის მიხედვით პროპორციონალურად, რაიც საჭირო კომიტეტების საშუალებით უნდა მოხდეს.

შენიშვნა: ა) თუ რომელიმე სახლში მაინის კომიტეტი არ არის, იქ უნდა შედგეს სახლის ყველა მდგმურების მიერ ამორჩეული კომისია, რომელმაც უნდა შეასრულოს ამ შემთხვევაში ხსენებულ კომიტეტის მაგიერობა.

ბ) სახლის პატრონი, თუ იგი სცხოვრობს იმავე სახლში, ითვლება მდგმურად.

2. მდგმურებსაც ნება აქვთ მომატებული ხარჯი გაუნაწილონ იმ პირებს, რომლებისთვისაც თავისი მხრივ ითაბები მიუჭერადებიათ.

3. წყლის ანგარიში სახლის პატრონებსა და მდგმურებს შორის გასწორდეს ბოლოს ყოველ თვის გასულს.

წყლის ფასის განაწილება იწყება ახალი ტარიფის შემოღების დღიდან, ე. ი. 1918 წ. 1 მაისიდან.

4. ყოველი თვის დასაწყისში საბინო კომიტეტი მოვალენი არიან შეადგინონ ოქმები რომლებშიაც უნდა იყოს წყალსაზომის ჩვენება, საათი და წუთი ოქმის შედგენისა.

5. სახლის პატრონებს ევალებათ ყური უჭირონ წყალსადენსა და წყალსაზომებსა. თუ დაზიანდა რომელიმე მათგანი, მდგმურის განცხადებისთანავე (საბინო კომიტეტის შუამავლობით) დაუყონებლივ უნდა შეაკეთოს სახლის პატრონმა. საბინაო კომიტეტი ამისთანა შემთხვევაში, რწმუნდება რა შეკეთების საჭიროებაში, ადგენს ოქმს. თუ სახლის პატრონმა დაუყონებლივ არ შეაკეთა დაზიანებული წყალსადენი ან წყალსაზომი, იმ მდგმურისაგან, რომლის ბინაზედაც დაზიანება მოხდა, ვიდრე მიიღებს ზედმეტს გადასახადს. საბინაო კომიტეტი კი დაუყონებლივ შეუდგება დაზიანებულ წყალსადენ-წყალსაზომის შეკეთებას სახლის პატრონის ხარჯზე.

6. თუ საბინაო კომიტეტი არ აასრულებს თავის მოვალეობას, სახლის პატრონს ნება ეძლევა რომელიმე მდგმურისა, ან მეზობელ საბინაო კომიტეტის ერთ-ერთ წევრის შემწეობით აასრულოს ის დავალებანი, რომლებიც ნაჩვენებია ამ წესებში. 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი გიკტორ ნიკოლაძე.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.